ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №12 (7089) 22 მაისი 2023 წელი

მანუჩარ რობაქიძე: „მეტი მოძრაობა, მეტი ოპერატიულობა, მეტი პასუხისმგებლობა“...

არჩეული მერის სტატუსით მანუჩარ რობაქიძე 19 მაისიდან შეუდგა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

წარმატებები ვუსურვოთ მას ამ მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე...

რამდენიმე დღით ადრე, 8 მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში მისი ხელმძღვანელობით მორიგი სამუშაო თათბირი გაიმართა, რომელსაც იგი, როგორც მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი უძღვებოდა.

ბატონი მანუჩარისათვის, მერის მოვალეობის შემსრულებლის რანგში ეს თათბირი, ვიდრე იგი არჩეული მერის სტატუსს მიიღებდა, ბოლო იყო... მაგრამ მის შეფასებებსა და მოთხოვნებში, სამომავლო გეგმებზე საუბრისას, კარგად იგრძნობოდა ის თავდაჯერებულობა და სიმტკიცე, რაც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერად არჩევისას ამომრჩეველთა ათასობით ხმის მიღებამ შემატა.

ამდენად, სრულიად ლოგიკური იყო თათბირის დასაწყისში მის მიერ მოთხოვნა-პასუხისმგებლობა-ვალდებულების უმკაცრესად დაცვა-შესრულების ნაზავში გაკეთებული განცხადება:

„მეტი მოძრაობა, მეტი ოპერატიულობა, მეტი პასუხისმგებლობა გვჭირდება, სადღეღამისო მუშაობა გვმართებს...

არცერთ ადამიანს იმედი არ უნდა გავუცრუოთ... პირადად ვარ მზად, სიცოცხლის ფასად ასე ვიმუშაო...

ჩვენ მაშინ ვიქნებით გუნდი, თუ ამას ყველა ერთად შევძლებთ...

რასაც გავაკეთებთ, გავაკეთოთ ხარისხიანად, გავაკეთოთ მოსახლეობისათვის სასარგებლოდ... უნიათო მუშაობას ჩვენ ვერ მოვითმენთ...“

☞2

ბოლო ზარი... გილოცავთ!

19 მაისის მზიანმა დღემ თავისებური ეშხი და ლაზათი შემატა ბოლო ზარის ტრადიციულ ზეიმს.

314 კურსდამთავრებული ახალგაზრდა ჰყავს მიმდინარე წელს თერჯოლის მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლებს.

სწორედ მათ დაულოცეს აღმზრდელ-პედაგოგებმა, მშობლებმა, რაიონის ხელმძღვანელობამ ცხოვრების ახალი გზის დასაწყისი...

ყველგან საზეიმო განწყობილება და სიხარული იყო, მაგრამ ამ სიხარულს თან სდევდა სკოლასთან განშორების გულისწყვეტაც...

არ შედრკეთ!

მომავალი თქვენია!

შეუპოვრად და წარმატებებით გევლოთ ცხოვრების რთულ გზებზე!!!

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ☞2,3

ფიცის ერთგულება... ☞5

კიდევ ერთი ჩვენებური ჩემპიონი ☞7

თერჯოლელი მოსწავლე-სპორტსმენები საერთაშორისო არენაზე ☞7

ერეკლე კირკიტაძის ფოტო

გილოცავთ!

25 მაისი—ამაღლება

26 მაისი—საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

მანუჩარ რობაქიძე: „მეტი მოძრაობა, მეტი ოპერატიულობა, მეტი პასუხისმგებლობა“...

1☞

8 მაისის შეხვედრას მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსები, ასევე ა(ა)იპ - ების ხელმძღვანელები და მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხელმძღვანელმა პირებმა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლებისგან დეტალური ინფორმაცია მიიღეს სოფლებში არსებულ ვითარებასა და პრობლემურ საკითხებზე, რომლებიც უახლოეს დროში მოითხოვენ რეაგირებას, ასევე, სამსახურების უფროსებისაგან, სფეროების მიხედვით, დაგეგმილი ღონისძიებებისა და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ მოისმინეს ინფორმაცია.

როგორც ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, გოდერძი თურქაძემ აღნიშნა, დაიწყო მერიის „სახლდაზიანების პროგრამის” ფარგლებში სოციალურად შეჭირვებული ათი ოჯახისათვის სახლების მშენებლობა; პროგრამა მეხუთე წელია წარმატებით ფუნქციონირებს და ჯამში 19 სახლი აშენდა.

სრიგპ პროგრამის ფარგლებში აქტიურ ფაზაშია ქალაქ თერჯოლაში მე-3 ბაღის სამშენებლო სამუშაოები; სკვერისა და ამფითეატრის, ხოლო სოფელ ძევრში, რეკრეაციული სივრცის მოწყობა მდინარე ძევრულას კარსტულ ხეობაში;

დასკვნით ეტაპზეა ზედა და ქვედა ალისუბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

უახლოეს პერიოდში დაიწყება თუზითავასის დამაკავშირებელი გზის სამშენებლო სამუშაოები;

№9 ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს სავარჯიშო მოედნების მოწყობა, სადაც სპორტული სავარჯიშო ტრენაჟორების მოწყობის პროექტი, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება.

გიორგობა—გოგნი, 6 მაისი...

ჩვენი გაზეთის ამ ნომერში შემოთავაზებული ეს სურათი, გიორგობას, 6 მაისს, სოფელ გოგნში ერეკლე კირკიტაძის მიერ დრონითაა გადაღებული. სწორედ ამ სფეროშია ერეკლე წარმატებული ახალგაზრდა.

ერეკლე კირკიტაძე ქალაქ თერჯოლაში ცხოვრობს, დაამთავრა ქ.თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, ამჟამად სწავლობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ელექტრო-ინჟინერიის ფაკულტეტზე.

მან, 2020 წელს მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“, სადაც წარადგინა პროექტი „სელმეტი—სამედიცინო, სახანძრო, სამაშველო უპილოტო საფრენი აპარატი“.

პროექტის დასრულების შემდეგ „სელმეტმა“ მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა გამოფენებში, რის შემდეგაც ერეკლე გახდა ოფიციალური პილოტი უპილოტო საფრენი აპარატებისა და FPV დრონების, ასევე საქართველოს უპილოტო საფრენი აპარატების ფედერაციის წევრი.

2022 წელს მან შექმნა ჭკვიანი დასწრების სისტემა, რომელიც ახდენს სკოლაში ბავშვებისა და სკოლის პერსონალის მონიტორინგს სახის დანახვით, თითის ანაბეჭდით ან საბარათო სისტემით. სისტემის დახმარებით ბავშვს ავტომატურად ეწერება დასწრება ან არდასწრება.

ერეკლეს სამომავალო გეგმაა თერჯოლაში გახსნას „რობოტიკის ცენტრი“, სადაც ბავშვები ისწავლიან რობოტებისა და დრონების აწყობას.

წარმატებებს ვუსურვებთ ერეკლეს საინტერესო და სასარგებლო გეგმების განხორციელებაში.

გამარჯვების დღის აღსანიშნავად

1945 წლის 8 მაისს, ფაშისტური გერმანიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომი დასრულდა.

ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, დავით გოგბერაშვილმა ქალაქ თერჯოლასა და ჩხარის ადმინისტრაციულ ერთეულში გვირგვინებით შეამკეს დიდების მემორიალები და პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ხსოვნას, რომელთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა ჩხარის მაცხოვრის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, მამა რომანოზ გვენეტაძემ.

მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 700 000 ადამიანზე მეტი წავიდა, აქედან ნახევარი უკან არ დაბრუნებულა. მეორე მსოფლიო ომში თერჯოლიდან 3 533 ადამიანი გაიწვიეს, 2325 დაიღუპა, ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ხოლო შინ დაბრუნდა 1 208 მებრძოლი, მათგან მიმდინარე წელს უკანასკნელი მებრძოლიც, დიმიტრი აბესაძეც გარდაიცვალა.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 500 ლარს მიიღებენ.

ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს წევრები, მერიის თანამშრომლები და მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დიმიტრი აბესაძე—უკანასკნელი მოჰიკანი

წლები გარბიან... თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ადამიანებიც გარბიან... ეეეჰ, თითქოს ისინიც ეჯიბრებიან ერთმანეთს...

თითქოს აგერ ახლა იყო დიდი სამამულო ომის მონაწილეთაგან, საუკუნის კარიბჭესთან მდგომ ხუთ მამაც მებრძოლს **ოდა** რომ მივუძღვენით ჩვენი გაზეთით.

ესენი იყვნენ: ჭოგნარელი შალვა ელიავა, გოდოგნელი ნიკოლოზ ხუჯაძე, ზედასიმონეთელი ნიკოლოზ გვენცაძე, ზედა საზანოელი ვასილ ვარდოსანიძე და თერჯოლელი დიმიტრი აბესაძე.

ჰო, თითქოს გუშინ იყო... არადა... ეს მამაცი კაცები დღეს უკვე მარადიული საუფლოს ბინადარნი არიან.

მათ უარი უთხრეს ომს, ხანძარს, ბნელსა და უკუნეთს.

ბებერ საუკუნეს თავში ჩაუკაკუნეს...

სამშობლოს ედგნენ. მტერს არ დაანებეს მტკაველი მიწის...

ბოლომდე დარჩნენ ერთგულები სამშობლოს ფიცის.

სამშობლოს სევდაც თან სდევდათ.

და ამარჯვებინებდათ ბოროტსა ზედა.

ახლა ისინი აღარ არიან. საუკუნეგამოვლილებმა, ნაომრებმა, მაგრამ ვალმოხდილებმა იქნებ თავს მისცეს უფლება წუთშესვენების?!

მამაც ხუთეულთაგან უკანასნელი მოჰიკანი თერჯოლელი **დიმიტრი აბესაძე** გახლდათ..

გმირების ბოლო ძმადნაფიცი, აგრე რიგ რომ იხარჯებოდა სამშობლო ქვეყნისთვის, როგორც ცეცხლის ხაზზე, ისე სამშვიდობო სიმყუდროვეში.

ცოტა ხნის წინ, ჩვენი გაზეთით, ვამცნობდით მკითხველს მისი გარდაცვალების საწუხარ ამბავს. საუკუნეს ლამის გაუსწორა თვალი და აღესრულა მამულის წინაშე ვალმოხდილი ნაჯაფარ-ნაომარი.

დიმიტრი აბესაძე—უკვე ისტორიაა. მან თავისი წილხვედრი უშურველად გაიღო.

ეს ყველაფერი ადვილად იწერება...

მან თავის ძმადნაფიც მებრძოლებთან ერთად მტერი უკუაქცია და ბოლომდე სდია. სამალავამდე მიჰყვა ფეხდაფეხ.

სამშობლოს გამარჯვებული დაუბრუნდა. ოჯახს მიხედა. როგორც იტყვიან კედელ-ყურე გააცოცხლა.

საუკუნესაც თვალი გაუსწორა.

რაოდენ დასანანია, რომ ახლა მასზე, როგორც უკვე გარდაცვლილზე გვიხდება საუბარი.

დიმიტრი აბესაძის დარი კაცები აძლიერებენ და აძლებინებენ ქვეყანას.

გაზეთი „თერჯოლა“ კვლავაც მოუთხრობს თაობებს ჩვენს მამაც ადამიანებსა და მათ საგმირო საქმეებზე.

ნუგზარ გამყრელიძე

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან...

აკადემიკოსი ზურაბ რობაქიძე 92 წლისაა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, აკადემიკოს, ზურაბ რობაქიძეს გიორგობას, 6 მაისს 92 წელი შეუსრულდა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარ დეპუტატთან, ელისო მურადაშვილთან ერთად ზურაბ რობაქიძეს საიუბილეო თარიღის მისალოცად სახლში ეწვია და სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

„ზურაბ რობაქიძე თერჯოლის საპატიო მოქალაქეა, რომელიც წლების განმავლობაში ერთგულად და დაუღალავად ემსახურებოდა თავის ქვეყანას. ჩვეული პროფესიონალიზმით, სიყვარულითა და ენერგიით ზრუნავდა ადამიანების ჯანმრთელობაზე. მინდა მთელი გულით მივულოცო იუბილე და გიორგობის დღესასწაული, მადლობა მას გაწეული ღვაწლისთვის. მუნიციპალიტეტის სახელით დღეგრძელობას ვუსურვებ“—განაცხადა მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ.

ზურაბ რობაქიძე 1957 წლიდან მოღვაწეობს ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის დარგში.2006 წლიდან საქართველოს ტრანსფუზიოლოგთა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტი იყო. არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

აქტიურად მონაწილეობდა უცხოეთში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებში.

ვაშინგტონში, პროფესორთა მშვიდობის მსოფლიო აკადემიის მეშვიდე კონგრესზე, ზურაბ რობაქიძე მსოფლიო აკადემიის წევრად აირჩიეს.

შეხვედრას მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით გოგბერაშვილი, ასევე მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, გურამ თურქაძე ესწრებოდნენ.

ქალაქ თერჯოლის მესამე საბავშვო ბაღს მალე ახალი შენობა ექნება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ, მერის მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელთან, მაია თორთლაძესთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, დავით გოგბერაშვილთან ერთად, ქალაქ თერჯოლაში №3 საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა და დეტალურად გაეცნო პროექტის მიმდინარეობას.

პროექტის ფარგლებში 120 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი შენდება, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ბაღში დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და ოთახები აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით. ამ ეტაპზე შიდა სივრცის სარემონტო სამუშაოები და ეზოს კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტი, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება, რომლის ღირებულება 2 313 386 ლარია.

ახალი სამშენებლო ორგანიზაცია ძალას იკრებს

ერთი წლის წინ დაფუძნდა შპს „ჯი-ემ-ჯი+“ (დამფუძნებლები: გიორგი აბულაძე, თამაზ ბარდაველიძე, მელანო უკლება). ეს საგზაო სამშენებლო ორგანიზაცია 25 თანამშრომლით არის წარმოდგენილი, აქვთ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. განვლილ ერთ წელიწადში მრავალი ტენდერი აქვთ მოგებული და მუდმივად აქვთ სამუშაო. მოკლე დროში მიღწეული წარმატებები იმის შედეგია, რომ მაღალი ხარისხით ასრულებენ გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. ამჟამად ორგანიზაცია რამდენიმე ობიექტზე მუშაობს. ახლახან დაამთავრეს ცენტრალური გზის რეაბილიტაცია სიქთარვაში, ნახშირღელეში, ეწერში. დარჩენილი სამუშაოები უახლოეს დროში დამთავრდება, თერჯოლის სოფლებში 246 ათასი ლარის სამუშაოები შესრულდება, სამუშაოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს. სამუშაოები მიმდინარეობს ზესტაფონში, ცენტრალურ გზებზე და კორპუსების ეზოების კეთილმოსაწყობად. ასევე თბილისი-სენაკი, ლესელიძის საავტომობილო გზის ერთ-ერთ მონაკვეთზე, ქუთაისი-გეგუთი, საყულია-ბაში-იანეთის 1-34 და 1-34 კმ-ზე. გზების სავალი ნაწილების შეკეთება ასფალტი-ბეტონის საფარით ხდება.

ჟუჟუნა ცხადაძე

სახლები სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისათვის



თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოციალურად შეჭირვებული ათი ოჯახისათვის დაიწყო სახლების მშენებლობა.

ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ სიქთარვაში, ზედა სიმონეთსა და ღვანკითში იმყოფებოდა, სადაც სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაო პროცესებს ადგილზე გაეცნო, ბენეფიციარებს გაესაუბრა და სამომავლოდ გვერდით დგომას დაჰპირდა.

„სოციალური მიმართულებით, მუნიციპალიტეტში უკვე მეხუთე წელია „სახლდაზიანების პროგრამა” ხორციელდება, რომელიც ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას ან შეძენას. ამ დროისთვის მიმდინარეობს პროგრამით მოსარგებლე ათივე ბენეფიციარისთვის სახლების მშენებლობა და პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდება. . მინდა აღვნიშნო, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო პროექტი, რომელიც ოჯახების გაძლიერებას ემსახურება“—აღნიშნა, მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის სახლდაზიანების პროგრამის ეფექტური მუშაობისთვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა, რომლის ფარგლებში მიმდინარე წელს ათი საცხოვრებელი სახლი აშენდება.

სამუშაო შეხვედრას, ახალთერჯოლისა და სიქთარვის მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ ისაკაძე, ასევე ღვანკითისა და რუფოთის მაჟორიტარი დეპუტატი შალვა ჭანკვეტაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ორი სოფლის დამაკავშირებელი გზა

ზედა და ქვედა ალისუბნის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

სარეაბილიტაციო პროცესი, მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ, მერის მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ჯემალ ისაკაძესთან ერთად, ადგილზე დაათვალიერა.

„ჩვენთვის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. დასკვნით ეტაპზეა ზედა და ქვედა ალისუბნის დამაკავშირებელ გზაზე 1 კმ-მდე არმირებული ბეტონის საფარის დაგება, რომლის შემდეგ სანიაღვრე არხები, ცხაურები და ბოგირები მოეწყობა, ასევე უახლოეს დღეებში დაიწყება თუზი-თავასის საავტომობილო გზის მშენებლობა, პროექტი შესაბამისი ვადებისა და ხარისხის დაცვით განხორციელდება“—აღნიშნა მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ.

შეგახსენებთ, რომ ზედა და ქვედა ალისუბნის დამაკავშირებელ გზაზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გარე-განათებაც მოეწყობა.

სოფელი საზანო, გუშინ, დღეს...

საზანო ისტორიული სოფელია. მდინარე ძუსის ხეობაში, ზღვის დონიდან 390 მეტრზე მდებარეობს. ცხოვრობს 1300-მდე კომლი, 3500 ადამიანით. სოფელს აქვს სახნავ-სათესი, ტყე-ბუჩქნარი, საძოვრები, მოსახლეობა მისდევს მევენახეობას, მესიმინდეობას, მესაქონლეობას, მეცხვარეობას. საზანოს თემში შედის: შიმშილაქედი, ჩიხორი, მუჯირეთი, სკანდე, დელტასუბანი. „საზანოს წყალზედ არის საზანოს ციხე, კლდესა ზედაშენი კარგი. ძუსა გამოსდის გარჯილას მთასა, დის ყამსას ციხემდე, ჩრდილოდამ სამხრეთით და ყასას ციხიდან აღმოსავლეთ—სამხრეთის შუა და მიერთვის ბურჯას. ამ ციხის ზეით, ძუსას მდინარის დასავლეთით არს ჩიხორი—ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი, ვაჭარნი, ამის სამხრეთით არს, მთის კალთას, სკანდას სასახლე. მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“—ვკითხულობთ ქართლის ცხოვრებაში.

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ათეულობით წლების განმავლობაში საზანოს საშუალო სკოლის დირექტორი, სოფელზე, რაიონზე შეყვარებული, პატრიოტი კაცი, აწ გარდაცვლილი ალექსანდრე ჯაფარიძე თავის ნაწერებში „საზანოს სკოლა“, ფართოდ მიმოიხილავს არა მარტო სკოლის ისტორიას, არამედ საინტერესო მასალას გვაძლევს სოფლის და მთლიანად რაიონის წარსულზე. „უხვმოსავლიანია საზანოს ნიადაგი, მდიდარია ფლორითა და ფაუნით, ხალხი გამრჯე და შრომისმოყვარეა, უხარიათ სტუმარ-მასპინძლობა, ახასიათებთ კანონიერი სიამაყე, თავმდაბლობა, ერთსულოვნება, სოფელში სანიმუშო ყურძნის ჯიშებია გავრცელებული. აყენებენ საფერავს, ციცქას, ცოლიკაურს, აქა-იქ კრახუნას, კუნძას, ძელშავს, ქართულს, მუჯირეთულს; ძუსაში ბინადრობს ნვერა, ქაშაყი, ღომღომა, ნაფოტა, ღორჯო, მუხურის მთებთან ახლოს კალმახიც; ჩამოედინება ღელეები: საკირე-ღელე, გოცა-ღელე, ბიჭიჭელას, ძაღლარას, წურბელარის, ჩხაკოურის, ნემსაძეების, სკანდის, ჩიხორის, ტორფის წყაროს ღელეები; სოფლის ზოგიერთ ადგილს ხალხისგან შერქმეული აქვს ზედმეტი სახელები: რკინის ხიდი, ჭალას უბანი, გოცოური, საკრიფონე, ნაწისქვილარი, ბეღურასოფელი, ხვადაბუნი, სითარაული, გორგოული, ღალაბოური, ბაგუთი და სხვა; საზანოში 103 გვარი ცხოვრობს, ყველაზე მეტია ჩუბინიძეები, ჭანკვეტაძეები, კუპატაძეები, კირკიტაძეები, ვარდოსანიძეები, თურქაძეები, გოგბერაშვილები.

სოფელში მცხოვრები მღვდლები: დავით აბაშიძე, პაჭო გუმბერიძე, ისიდორე შეყრილაძე, სერგო მიქაშავიძე, სიმონ კაპანაძე, პორფილე კუპატაძე რომლებიც რევოლუციამდე პერიოდში პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ.

საზანო დღეს

წლების განმავლობაში საზანოს მძლავრად განვითარებული სოფლის მეურნეობა ჰქონდა. მოგვიანებით განხორციელებულმა მიწის რეფორმამ ყოველი ოჯახი მიწის კერძო მესაკუთრე გახადა. ცალკეულმა ადამიანებმა დაიწყეს ფიქრი მცირე მეწარმეობის განვითარებაზე, არიან ოჯახები, რომლებიც მიწიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობენ.

მიწის დამუშავება ძვირი ჯდება, რამაც მისი სიყვარული ოდნავ გაანელა, მაგრამ საზანოელი კაცი მიწას მაინც ვერ მოწყვიტა. სოფელში 15 ტრაქტორია, ბევრს კი მინი ტრაქტორი აქვს, მაგრამ მიწის აგროვადებში დამუშავება ჭირს. საზანო არ არის წარმოება-დაწესებულებებით მდიდარი სოფელი, სკოლაში, ბაგა-ბაღში, ათეულობით ადამიანია დასაქმებული. მოსახლეობის დიდი ნაწილი რაიონში ან მის ფარგლებს გარეთ არის დასაქმებული, ასეულობით ადამიანი საზღვარგარეთაა წასული.

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლად სოფელში გიორგი ჩუბინიძე 2022 წლის მარტიდან მუშაობს, თამთა ცქიფურიშვილთან და მერაბ ჩუბინიძესთან ერთად. სამივენი სოფლის მკვიდრნი არიან, კარგად იცნობენ სოფელს, მთელ ძალისხმევას ანდომებენ სოფლისათვის სასიკეთო საქმის კეთებას, მათი სურვილია სოფელი ძლიერი იყოს. საამისოდ მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, როგორც ყველა, ისე ამ სოფელში, მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებს ანხორციელებს, ბევრი კეთდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

ერთად, ერთი მიზნით...

2021 წლის ორი ოქტომბრის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში თუზის და საზანოს მოსახლეობამაც გამოხატა თავისი ნება და თავიანთ მაჟორიტარ დეპუტატად მუნიციპალიტეტის საკრებულოში დავით გოგბერაშვილი აირჩიეს. აირჩიეს და არც შემცდარან, ბატონი დავითი წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტის

მერის წარმომადგელი იყო სოფელ საზანოში და ერთ-ერთი მოწინავე. ახლა დავით გოგბერაშვილს, როგორც საკრებულოს წევრს და საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს მეტი ვალდებულებები გააჩნია, ჩართულია კიდეც სოფლების საქმიანობაში.

სოფლის წარმომადგენელი ბატონი გიორგი და დეპუტატი გადაწყვეტილებებს ერთად იღებენ, მათ გვერდში დაიყენეს ახალგაზრდები, ხალხის ნდობა მოიპოვეს.

ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლის დახმარების პროგრამა

უკანასკნელ პერიოდში სოფელში ბევრი გაკეთდა, ყოველი საზანოელის ოჯახში ბუნებრივი გაზია, გაკეთდა სკანდის ციხემდე მისასვლელი გზა, რეაბილიტირებულია მდ. ძუსაზე არსებული საზანო-ჩიხორი-მუჯირეთის დამაკავშირებელი ხიდი, მოეწყო ცხაურები, ბოგირები, გარე განათებები, დაიხრეშა გზები, მოეწყო მინი საფეხბურთო მოედანი, დაიგო ბეტონის გზები, რეაბილიტაცია გაუკეთდა წყაროებს, ჭებს, მოეწყო მგზავრთა მოსაცდელები.

ბეტონის გზა გაკეთდა ჩიხორში 1,7 კმ-ზე, მოეწყო გარე განათება საზანოში, შიმშილაქედში, ბოგირი მუჯირეთში, გარე განათება სკანდეში, მოსაცდელი ჩიხორში, წყლის ავზი დელტასუბანში და სხვა... პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო დროულად დასრულდა.

2022 წელს ფინანსური დახმარება მიიღო 93 ოჯახმა, თანადაფინანსებით ისარგებლა 68 ადამიანმა, სურსათი მიიღო 46 ოჯახმა, გაცემულია მედიკამენტები და სხვა, მოსახლეობამ მიიღო ყველა სახის დახმარება, რაც სოციალური პროგრამით იყო გათვალისწინებული. სკანდეში მცხოვრებ ილია მარუაშვილს სახლი აუშენეს, მშენებლობა 36 ათასი ლარი დაჯდა. 2023 წელს გარე განათების მოსაწყობად საზანოში 15 000 ლარია გამოყოფილი. 26 მაისის უბანში წყლის სისტემის მოწყობისათვის 5000 ლარი დაიხარჯება, დელტასუბანში ბეტონის საფარი მოეწყობა, რომლისთვისაც 16 ათასი ლარია გამოყოფილი, შიმშილაქედში გარე განათებისათვის 10 000 ლარი, ჩიხორში ინერტული მასალებისათვის 12 000 ლარი, მუჯირეთში ცხაურის მოწყობისათვის 1000 ლარი, ინერტული მასალის შეტანა-გაშლისათვის 9 000 ლარი, სკანდეში ბეტონის საფარისათვის 16 000 ლარი.

როგორც ყველგან, საზანოშიც, მოსახლეობა ისარგებლებს იმ სოციალური დახმარებებით, რაც ამ პროგრამით არის გათვალისწინებული.

ყველაზე დიდი შენაძენი სოფლისთვის მაინც ახალი ბაგა-ბაღია, აქ პატარები სრულყოფილ პირველად განათლებას იღებენ, სკოლისათვის ემზადებიან.

საზანო მდიდარია ისტორიული ძეგლებით, ბევრია ლამაზი ადგილები, ტურისტებისათვის მიმზიდველი, საზანოელები ამაყობენ სკანდის ციხით, მისი ისტორიით, არის რამდენიმე ეკლესია, საზანოელებს უყვართ წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარი მამა დავით ჭანტურიძე, სკოლა, ბაღი, ეკლესია, სოფლების ხელმძღვანელებთან ერთად აძლიერებენ სოფელსო, ამბობს იგი და სოფელზე ზრუნვის მაგალითებს იძლევა.

ქადაგიძის რაფი

ქადაგიძის რაფი გამორჩეულია. საუკუნენახევარზე მეტი წლის წინ ამ ადგილზე მდ.ძუსა გადაუკეტავთ და ხელოვნური ჩანჩქერი შეუქმნიათ. ლამაზი სანახავია ქადაგიძის რაფი, აქ წისქვილიც არის, ერთ დროს გამართულ მდგომარეობაში იყო, ახლა არ მუშაობს, აღდგენას საჭიროებს. მალე დადგება ალბათ დრო, როცა ამ წისქვილში ისევ შეიკრიბებიან, არამარტო დასაფქვავად, არამედ სასაუბროდ, დასასვენებლად, ერთმანეთთან სასაუბროდ, საქეიფოდ, საფქვავ-მინდი ამ დროს აღარავის გაახსენდება.

წისქვილის კერძო მესაკუთრეს დახმარება ჭირდება.

ტურისტების მოსაზიდად დინოზავრების ნაკვალევი მნიშვნელოვანი ადგილია. იგი ათეულობით მილიონ წელს ითვლის, პალეონტოლოგებმა, რომლებმაც ნაკვალევი ნახეს, უთქვამთ, რომ იგი ნიანგის სახეობის უნდა ყოფილიყო, საუბარი იყო კვლევების დაწყებაზე, ვნახოთ რა იქნება მომავალში. ეს ნაკვალევი სათაფლიაში არსებულს არაფრით ჩამოუვარდება, ნაკვალები ნაკვალევია, ესაა, ტურისტულ ობიექტად ჩაურევლად ვერ გახდება.

საექიმო ამბულატორია

საზანოელებს ეიმედებათ ამბულატორიის ექიმები ხათუნა კირკიტაძე და ციცინო ბერძული, ექთნები ხათუნი გელბახიანი და იამზე გოგიაშვილი. ორივე ბრიგადა ჩართული იყო „კოვიდ-19“-ის ვაქცინაციის პროცესში. ფართო ახსნა-განმარტებას ეწეოდნენ აცრის აუცილებლობაზე, გრიპის ვაქცინაციაზე, კარგად უმკლავდებოდნენ პაციენტების გაზრდილ ნაკადს. ამბულატორიის თანამშრომლები, სოფლის მოსახლეობა ამბულატორიის ახალ შენობაზე, მის სათანადო აღჭურვილობაზე ფიქრობენ, იმედიანად არიან.

სკოლა ლიდერთა ათეულში

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საზანოს საჯარო სკოლისათვის 2021-22 სასწავლო წელი, პოსტპანდემიური სიტუაციის მიუხედავად წარმატებული იყო. სკოლის მოსწავლეთა 30%-მა სასწავლო წელი მაღალი აკადემიური მოსწრებით დაასრულა. სკოლას ყავდა ოქროს მედალოსანი. საბაზო საფეხურის სამი მოსწავლე გახდა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ მფლობელი.

სკოლის დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული ეტალონის საგანმანათლებლო პროექტ „იზრუნე-ჯი“-ში. გასულ წელს მესამე და მეოთხე კლასი 9-ჯერ გახდა „სუპერ კლასის“ ტიტულის მფლობელი და მიენიჭა „მომავლის კლასის“ წოდება. აღნიშნული მიღწევით სკოლა მრავალჯერ მოხვდა ლიდერთა ათეულში.

ზედა საზანოს საჯარო სკოლა მონაწილეობს რაიონულ და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. მიმდინარე სასწავლო წელს მონაწილეობას ღებულობდა მათემატიკურ ოლიმპადა „ევერესტში“ და სხვადასხვა კლასებიდან ყავს 14 ფინალისტი. სკოლა ამ ეტაპზე ჩართულია ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში და სხვადასხვა საგნებში აქვს წარმატების მოლოდინი.

ზედა საზანოს საჯარო სკოლა მუდმივად ზრუნავს პედაგოგთა პროფესიული განვითარებისათვის. გასულ ზაფხულს სამმა პედაგოგმა წარმატებით ჩააბარა წამყვანი და მენტორი მასწავლებლის სტატუსისთვის საჭირო პროფესიული უნარების გამოცდები.

სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად თანამშრომლობენ რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრთან და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულებთან.

სკოლა აქტიურადაა ჩართული განათლების სისტემის თანამედროვე ფერხულში და სკოლის საამაყო წარსულზე, ოპტიმისტურ რეალობაზე დაყრდნობით და ამასთან მუხლჩაუხრელი, დაუღალავი შრომით მარტივად ართმევს თავს მის წინ დასახულ თანამედროვე გამოწვევებს.

ხმაურიანი ოთხშაბათი

საზანოს ცენტრში ყოველ ოთხშაბათს ბაზრობა იმართება. იგი ადრე იწყება და დილის 9-10 საათზე ძირითადად მთავრდება. მსხვილფეხა პირუტყვით, ფრინველებით მოვაჭრეებს გარდა აქ სოფლის მეურნეობის პროდუქტებიც იყიდება და სამრეწველო საქონელიც. ხალხმრავლობაა ოთხშაბათს საზანოში.

ქველმოქმედება

სოფელს ჰყავს დამხმარე ადამიანები, სოფლის მკვიდრნი: ბაკურ კირკიტაძე, ტარიელ გიორგაძე, ლევან ჭანტურიძე, მინდია ჩუბინიძე, ლევან ჭანტურიძე—მათი ქველმოქმედებით შეკეთდა გიორგაძეების სალოცავი, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესასვლელი კარები, სრულდება სატრაპეზოს მშენებლობა.

მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებში ერთი კანდიდატი იღებდა მონაწილეობას. ამ გარემოებით და მოქმედი კანონის შესაბამისად არჩევნების ბედი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო. ამის მიუხედავად, მერობის კანდიდატმა, ბატონმა მანუჩარმა ყველა სოფელში და საზანოშიც რამდენიმე უბანში გამართა ამომრჩევლებთან შეხვედრა. ყველგან ხალხმრავლობა იყო, თითოეული ამომრჩეველი ერთსულოვანი, რომ მხარს დაუჭერდნენ ბატონ მანუჩარს, ასეც მოხდა. მაღალი იყო აქტივობა, ოპოზიციური ამომრჩეველიც კი დადებითად იყო განწყობილი ბატონი მანუჩარისადმი.

რა სურთ საზანოელებს

გაკეთებული მართლაც ბევრია. თითოეული საზანოელის სურვილი ახლა ერთია—სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფა. დღემდე ისინი ჭებს, ბუნებრივ წყაროებს იყენებენ, ზაფხულში ძალიან უჭირთ. საზანოელებს ადგილობრივი ხელისუფლების იმედი აქვთ.

ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკა, წარსული და დღევანდელობა...



თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკა დაარსებულია 1910 წელს, პირველად ბიბლიოთეკა შეიქმნა ჩხარის უფასო სამკითხველოს ბაზაზე. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენდა 460 ეგზემპლარს, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრებისგან იყო საჩუქრად გადაცემული. ჟურნალ-გაზეთები ბიბლიოთეკას გამოუწერა ჩხარის ინტელიგენციამ.

1950 წლიდან რაიონი ჩხარიდან თერჯოლაში გადმოვიდა და ჩხარის რაიონული ბიბლიოთეკა გადაკეთდა თერჯოლის რაიონულ ბიბლიოთეკად, რომლის პირველი დირექტორი იყო ეთერი კაკოიშვილი, 1955 წლიდან კი 1983 წლამდე დირექტორი იყო რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი თინათინ ფანჩულიძე.

რაიონების დამსხვილებასთან დაკავშირებით თერჯოლის რაიონი შეუერთდა ზესტაფონის რაიონს, ბიბლიოთეკა გადაკეთდა საბაზოდ, ხოლო 1965 წლიდან კვლავ გამოეყო რაიონი ზესტაფონს და დარჩა რაიონულ ბიბლიოთეკად.

სოციალურმა და პოლიტიკურმა ცვლილებებმა, მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა სახე უცვალა საბიბლიოთეკო მუშაობის შინაარსს, რის გამოც 1978 წელს მოხდა საბიბლიოთეკო სისტემის რეორგანიზაცია და შეიცვალა მუშაობის სისტემა. მოხდა საბიბლიოთეკო სისტემაში ცენტრალიზაცია და რაიონული ბიბლიოთეკა გადაკეთდა ცენტრალურ ბიბლიოთეკად, ხოლო დანარჩენები მის ფილიალებად. ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 52 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალი. 1980 წ. სისტემაში იყო 258571 ეგზემპლარი წიგნი და 34451 მკითხველი. წლების მანძილზე თერჯოლის ც/რ ბიბლიოთეკა იყო მოწინავეთა რიგებში, რისთვისაც ბიბლიოთეკას მიღებული ჰქონდა სხვადასხვა სახის სიგელები, ასევე ორდენები, 2005-06 წლებში მოხდა კვლავ სასოფლო ფილიალების დახურვა.

დღეისათვის საბიბლიოთეკო სისტემაში მიმდინარე ინოვაციური პროცესების ფონზე, საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად ინტერნეტის ჩართვაც განახორციელეს, ასევე ფუნქციონირებს საბავშვო განყოფილება, სიქთარვის, ქვ. სიმონეთის, ჭოგნარის სასოფლო ფილიალები. სამწუხაროდ გაუქმებულია სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები (2007 წ). სურვილისამებრ გადაეცათ სოფლებში საჯარო სკოლების ბიბლიოთეკებს, ნაწილი კი განვათავსეთ საჯარო ბიბლიოთეკის ერთიანი ფონდის განყოფილებაში.

მუნიციპალიტეტის 5 სოფელში კი კვლავ

დარჩენილი არის წიგნადი ფონდები: თუზი, ჩხარი, ზედა სიმონეთი, კვახჭირი, გოდოგანი, თუმცა ოპტიმისტურად ვართ განწყობილი აღნიშნულ სოფლებში გაიხსნება სასოფლო ბიბლიოთეკები. გასული წლის ბოლოს გაიხსნა ქვ. სიმონეთის სასოფლო ბიბლიოთეკა, ვფიქრობ კარგი ნაბიჯი გადაიდგა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წიგნით მომსახურების კუთხით, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ბატონ მანუჩარ რობაქიძეს, მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს. ბიბლიოთეკებს არ აკლიათ მკითხველი და მომხმარებელი, ყოველწლიურად ვემსახურებით 3000-მდე მკითხველს და მომხმარებელს (ინტერნეტით სარგებლობს 1000-მდე) ტარდება ღონისძიებები სისტემატურად.

2013-2014 წწ. თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკამ განახორციელა პროექტი, კერძოდ პოლონურ-ქართული პროექტი „ქართული ბიბლიოთეკები თანამედროვე, აქტიური, მიმზიდველი“, ასევე მინი პროექტი: „ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სულიერი და ზნეობრივი სამყაროა“—თერჯოლის შშმბ სასწავლო-სარეაბილიტაციო ცენტრი „იმედის სხივი“-თან ერთად. აღნიშნული პროექტების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკას გადმოეცა კომპიუტერები, ეკრანი, შევიძინეთ ელექტრონულიკატალოგის პროგრამა და (2013 წლიდან) დავიწყეთ ელექტროკატალოგის შედგენა, საჯაროში ეს პროცესი დავამთავრეთ, ახლა გვესაჭიროება საბავშვო და სასოფლო-ფილიალებში კომპიუტერები და ელექტრო კატალოგის წარმოების დაწყება. პროექტის ფარგლებში ასევე გავიარე სასწავლო კურსი პოლონეთში—იმერეთის და გურიის ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებმა (სულ 12) მივიღე სერთიფიკატები: 1. „ქართული ბიბლიოთეკები თანამედროვე, აქტიური და მიმზიდველი“ (2014წ.). 2. „ინფორმატიკის კურსი“—

ასევე განვახორციელეთ პროექტები: 1. „ქართული ფოლკლორი ეროვნული საგანძურია“—პედაგოგთა კავშირი „განათლება და სამყარო“-სთან ერთად. 2. „წიგნი ეკრანზე“—თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკის ინოვაციური მარკეტინგი „ცოცხალი წიგნის“ მეთოდის დანერგვა და კინოჩვენებით მომსახურების ახალი სასიცოცხლო ფუნქციების შეძენა (2016 წელს).

შეძენილი გამოცდილების და ცოდნის საფუძველზე ბიბლიოთეკის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს არ ჩამოვრჩეთ დროს. შევათავსოთ წიგნი და კომპიუტერი—თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, თუმცა საკმაოდ დიდ ძალისხმევასთან და პროფესიონალიზმთანაა დაკავშირებული ეს ყოველივე. ბიბლიოთეკის წარმატებული ფუნქციონირებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკართა პიროვნულ თვისებებს, მათ მიდრეკილებებს, პროფესიისადმი დამოკიდებულებას და ისეთ ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ ბიბლიოთეკის, როგორც დაწესებულების ეფექტურობას, საკუთრივ ბიბმცოდნეობაც, როგორც მეცნიერული დისციპლინა, სწავლობს წიგნისა და მკითხველის ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებას, კოლექტივი აქტიურად მუშაობს სიახლეებისთვის.

მთლიანად წიგნადი ფონდი დღეისათვის შეადგენს 110000 ეგზ (დახურული ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ჩათვლით—თუზი-5409 ეგზემპლარი, ჩხარი—7120 ეგზემპლარი, ზ. სიმონეთი—3333 ეგზემპლარი, კვხჭირი—3572 ეგზემპლარი, გოდოგანი—7196 ეგზემპლარი). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურებისთვის აუცილებელია ეტაპობრივად გაგრძელდეს სასოფლო ბიბლიოთეკების აღდგენა, რადგან ყველა მუნიციპალიტეტში დაწყებულია აღდგენა ბიბლიოთეკების და შესაბამისად აღჭურვა, ჩვენი მუნიციპალიტეტის საზოგადოებაც იმსახურებს სრულყოფილ საბიბლიოთეკო მომსახურებას.

თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. ასევე საჭიროა საბავშვო განყოფილება, სიქთარვის, ქვ. სიმონეთის და კვახჭირის ბიბლიოთეკებიც ფლობდეს საჭირო ტექნიკას—მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ლალი ცქიფურიშვილი,
თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი

ფიცის ერთგულება...

როგორც ჩვენი მკითხველისთვისაა ცნობილი, „თერჯოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა წერილი სათაურით „თერჯოლელი რეზერვისტები სამშობლოს სამსახურში“. მასში მოთხრობილი იყო მუნიციპალიტეტის მიერ ტერიტორიულ რეზერვში წარგზავნილთა საქმიანობა. დავსძენდით: „შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ თერჯოლელი რეზერვისტები ურყევად ერთგულებენ სამხედრო ფიცს, არიან სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა რიგებში, მათ რიცხვში, ვინც მზადაა საჭიროების შემთხვევაში გვერდში დაუდგეს სამშობლოს“. აღვნიშნეთ ისიც, რომ მამაკაცთა ასეულში ქალბატონებიც არიან. მოცემულ წერილში სწორედ მათზე გვინდა ვთქვათ ორიოდ თბილი სიტყვა, ის რომ თითოეული ჭეშმარიტად მეომრულად ეგუება რეზერვში სამსახურის არცთუ იოლ რეჟიმს, კარგად არიან გათვითცნობიერებული დევიზში—მხარდამხარ საქართველოს დასაცავად! იყავით მზად, დაიცავი შენი ქალაქი, სოფელი, უბანი!..

აი, ისინიც: ალისუბნელი მარიკა კუტივაძე, სიმონეთელი მირანდა დოღონაძე და გოდოგნელი ნინო კაპჭელაშვილი... თითოეულმა 2022 წლის ნოემბერში გააფორმა ხუთწლიანი კონტრაქტი. ამავე წლის დეკემბერში დადო ფიცი, რომელსაც დებს სამხედრო სამსახურში ჩამდგარი ყოველი ჯარისკაცი.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ეს ქალბატონები გამორჩეული ნებისყოფის, გამბედაობის და მიზანსწრაფვის მქონენი არიან. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როცა საშუალება მოგვეცა რეზერვისტებიდან ერთ-ერთ მათგანს მარიკა კუტივაძეს გავსაუბრებოდით. იგი, როგორც აღვნიშნეთ, სოფელ ალისუბნის მკვიდრია, მშრომელ ოჯახში აღზრდილი თავადაც მუყაითი ქალბატონია, გარდა სოფლის ყოველდღიური საქმიანობისა, სავაჭრო ქსელშიცაა დასაქმებული და ეხმარება თავის თავსაც და ოჯახსაც.

პირადად სრულად ვარ გათვითცნობიერებული საქმის არსში, მაგრამ მავანს და მავანს ჯერ კიდევ ეხამუშება, რომ ქალები შედიან პოლიციელთა რიგებში, დგებიან სამხედრო სამსახურში... თქვენ როგორ გააკეთეთ არჩევანი? ვეკითხები მარიკას. სრულიად უბრალოდ, მეუბნება ჩემი ინტერვიუერი, ეს სამშობლოს დაცვის უდიდეს მოვალეობასთან ერთად, გარკვეული რომანტიკაცაა. რა გასაკვირია, ჩვენ ხომ იმ წინაპარ ქალთა გენისანი ვართ, რომლებიც დალხინებისა თუ სამშობლოს გასაჭირის ჟამს მხარში ედგნენ მამაკაცებს. ისტორიამ მრავლად შემოგვინახა მაგალითი ქართველ ქალთა გმირობისა და მამაცობის შესახებ. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იბერიელმა ამორძალებმა თავგანწირული მოქმედებით გააოცეს და გააცოფეს კიდეც საქართველოში მოლაშქრე, რომაელი სარდალი პომპეუსი. ჩვენი წელთაღრიცხვისას კი ვინ ჩამოთვლის: „გმირი თინა ვაშლოვნელი, თუ მაია წყნეთელი“, სამამულო ომში ფაშისტებთან ბრძოლაში თავშეწირული ზოია რუხაძე, ამავე ომიდან პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის მიერ პოემაში გაცოცხლებული ირინოლა (ირინა სხირტლაძე)...

რეზერვისტებს პერიოდულად გვიწევს შეკრებები, ამიტომ სულმოუთქმელად ველი ხოლმე იმ დღეს, როცა შეკრებაზე უნდა წავიდე. ჩემთვის ღირსახსოვარია ის დღე, როცა ქართულ დროშასთან მუხლმოყრილი წარმოვთქვამდი სამხედრო ფიცის სიტყვებს.

კარგად მქონდა შეგნებული რა დიდ პასუხისმგებლობას ვიღებდი საკუთარ თავზე. დღემდე ამ შეგნებით ვმსახურობ. ასეულის რეზერვისტებს (მამაკაცები მყავს მხედველობაში), რომ იტყვიან ხელის გულზე ვყავართ აყვანილები, ძმებივით გვიდგანან მხარში და სამსახურს გვიიოლებენ.

დრო სწრაფად გადის, კონტრაქტის ორ წლამდე პერიოდმა უკვე გაიარა. მშვიდობაა ქვეყანაში და ღმერთმა ნურც ქნას საომრად მოღრუბლულიყოს სამშობლოს ზეცა.

ზემოთ ფიცის დადება ვახსენე და მინდა საუბარი ამ ფიციდან ამონარიდით დავამთავრო—„მე საქართველოს მოქალაქე შევდივარ რა სამხედრო სამსახურში:

ვფიცავ, პირნათლად მოვიხადო ჩემი მხედრული ვალი...

...ვფიცავ, მტიცედ დავდგე საქართველოს სადარაჯოზე და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ვიბრძოლო მტერზე გამარჯვებისათვის.

თუ ამ ფიცს გავტეხ, პასუხისმგებელი ვიქნები ღვთისა და ქვეყნის წინაშე.

გვფარავდეს ღმერთი“.

ი. მარუაშვილი

მოსაზრება

დიდი და პატარა, სტუმარი თუ მასპინძელი კარგად ხედავს თუ როგორ მშვენდება და ლამაზდება ჩვენი პატარა ქალაქი—გვახარებს ყოველივე ეს და მასთან ერთად, საგზაო უსაფრთხოების წესების დასაცავად, გატარებული ქმედითი ღონისძიებები: საჭირო ადგილებზე მოთავსდა მოძრაობის მოსაწესრიგებელი ნიშნები, მოძრაობას შემზღუდავი წინაღობები... ასეთები ხომ ადრეც იყო—იტყვის მავანი და მავანი, მაგრამ ვინ დაგიდევდა, თავზეხელაღებული მძღოლები შიშის ზარს სცემდნენ ფეხით მოსიარულეებს, წიწილებს რომ დაიფრენს ქორი ისე აწყდებოდა ხალხი ბორდიურებს. დიახ, ასე იყო, მაგრამ მაშინ არ იყო მოწყობილი ვიდეოთვალები, ამიტომ მოთარეშე მძღოლი დაუსჯელი რჩებოდა. ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია და უკვე კარგად ჩანს თუ როგორ დაეკარგა დღისით, მზისით ქუჩაში ჯირითის მადა, თავზეხელაღებულ მძღოლებს. საკმარისია მძღოლმა ცენტრალურ ქუჩაზე, სიჩქარის შემზღუდავ ნიშანზე მითითებულ კილომეტრებს გადააჭარბოს, რომ დარღვევას უმალ აღნუსხავს ვიდეოთვალი და მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლს სოლიდური ჯარიმის გადახდა გარანტირებული აქვს. ეს ალბათ ის აუცილებელი ღონისძიება იყო, რომელსაც დიდი ხანია ელოდნენ ქალაქის მცხოვრებლები.

აქვე გვინდა ერთ პატარა ნიუანსზე შევჩერდეთ, რომელიც მძღოლთა განმარტებით სრულებით არაა პატარა და გარკვეულ სიძნელეს უქმნით ტრანსპორტით მოძრაობაში. კერძოდ, სოფრომაძის ქუჩაზე I საჯარო სკოლის მარცხენა მხარეს თუ დაუშვათ—ზემოდან (ჩხარი, ძევრი, ტყიბული და ა.შ.) მოდიხარ უპრობლემოდ შეუხვევ, მაგრამ თუ ქვემოდან (ზესტაფონიდან, ქუთაისიდან და ა.შ.) ნურას უკაცრავად, ამ მხრიდან სოფრომაძის ქუჩაზე შეხვევა აკრძალულია.

ახლა როგორ უნდა მოიქცე, რომ ამ ქუჩაზე მოხვდე ტრანსპორტით მომავალი—უნდა გააგრძელო გზა, შეუხვიო დავით კლდიაშვილის ქუჩაზე და იქიდან გადახვიდე სოფრომაძის ქუჩაზე, ან მოუხვიო მარცხნივ „ავერსის“ აფთიაქთან, შეუხვიო შოთაძის ქუჩაზე, გახვიდე თამარ მეფის ქუჩაზე და იქიდან მოხვდები სასურველ ადრესატზე.

თუ ადგილობრივი მცხოვრები ხარ და ასე თუ ისე ოდნავ ერკვევი ქალაქის ქუჩებში, მოახერხებ ამ ვირაჟის შესრულებას, მაგრამ თუ სტუმარია ანუ გაუთვითცნობიერებელი პირი ამ საქმეში, დაგვეთანხმებით რა დღეში ჩავარდება. აქ მარტო სოფრომაძის ქუჩაზე მოხვედრაზე არაა პრობლემა, ამ ქუჩით უნდა გახვიდე ქალაქის ისეთ მთავარ ქუჩებზე, როგორიცაა ილია ჭავჭავაძის, გრიგოლ რობაქიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩები...

რას ითხოვენ მძღოლები? (და არა მარტო)— მათ, ვისაც ქალაქში ტრანსპორტით მოძრაობის მოწესრიგება ეხება, დართონ ნება სოფრომაძის ქუჩაზე მარცხენა მხრიდან შესვლისა, ატარონ ისე, როგორც დადიოდნენ აქამდე თავად და მათი მამა-პაპანი.

იმედოვნებენ იმასაც, რომ ეს ხელოვნური პრობლემა აუცილებლად მათ სასარგებლოდ გადაწყდება.

ი. ერაძე

სასწავლო ექსკურსია და პრეზენტაცია დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში

დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი ერთ-ერთი საამაყო და საყვარელი ადგილია არა მხოლოდ ზედა სიმონეთის მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის; აქ სრულიად თერჯოლისა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოდიან და მოჰყავთ მოსწავლეები, რათა კიდევ ერთხელ უფრო დეტალურად გაეცნონ დიდი მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თვალსაჩინო მოვლენებს, პატივი მიაგონ მის ხსოვნას იმ დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობისათვის, რაც მან ქართველ და არა მხოლოდ ქართველ ხალხს და მკითხველებს უსახსოვრა...

ამჯერად დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმს რუფოთის საჯარო სკოლის (დირექტორი კოტე გოგიაშვილი) მეცხრე კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთან, ნორა გოგიაშვილთან ერთად. სხვათა შორის ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ნორა მასწავლებელი და მისი

მოსწავლეები წინა წლებშიც აქ, სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში, მოდიან და ლამაზ პრეზენტაციასაც მართავენ.

მას შემდეგ, რაც მეცხრეკლასელებმა სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული დავით კლდიაშვილის შემოქმედება გაიარეს, გადაწყვიტეს, რომ შემაჯამებელი გაკვეთილი—პრეზენტაცია სწორედ დიდი მწერლის სახლ-მუზეუმში გაემართათ.

მოწიწებით შეაბიჯეს დიდი შემოქმედის ეზოსა და სახლ-მუზეუმში, ჯერ იქაურობა დაათვალიერეს, სადაც არ შეიძლება არ მოიხიბლო მწვანეში ჩაფლულ შენობა-ნაგებობათა და თითქმის ასწლოვან ხეთა სილამაზით, სადაც თითქოს ეხები დავითის სულიერ და ფიზიკურ არსებობას... სადაც ფეხი აიდგა, შემდეგ თითქოს ქვეყანა შემოიარა და ბოლოს აქ, ამ დიდებულ სავანეში აღესრულა.

ის დღე მუდამ დაამახსოვრდებათ: ნინი ოქრუაძეს, გიორგი კვანტიძეს, გიორგი ჭანტურიძეს, გია გოგბერაშვილს, ელენე სოფრომაძეს, სალომე რიჟამაძეს, სალომე რიჟამაძეს და გიორგი აბაშიძეს. მასწავლებელთან, ნორა გოგიაშვილთან ერთად, კიდევ ერთხელ მოკლედ მიმოიხილეს დავითის შემოქმედება, გაიხსენეს შთამბეჭდავი მოგონებები, ასევე ცნობილი ადამიანების მწერლების, კრიტიკოსების საინტერესო შეფასებები მწერლის შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ.

ღონისძიება დასრულდა დავით კლადიაშვილის უკვდავი და შთამბეჭდავი სიტყვებით: „ქართველი ერის თავისუფლება მითი მახარებს, რომ მას ეძლევა საღსარი განავითაროს ის მშვენიერი, სულ მასში რომ არის ჩანერგილი და მწამს, რომ ამით ქართველი ერი შევა სანატრელ მოძმეთ დანარჩენ კაცობრიობაში... დიდება ერის დიად სულს!“

ღონისძიებები გაალამაზა გიორგი კვანტიძის მიერ მხატვრულად და ემოციურად წაკითხულმა პაოლო იაშვილის ლექსმა „ოფორტი“ (დავით კლდიაშვილი).

იმ დღეს მეცხრე კლასელებთან ერთად იყვნენ და დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმს სტუმრობდნენ ნინო სოფრომაძე, რუფოთის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილის დარგში და იმედა ბოჭორიშვილი სკოლის სპორტის პედაგოგი, რომლებმაც გაიზიარეს მოსწავლეთა სიხარული და შემდგომი წარმატებები უსურვეს...

მზია ცქიფურიშვილი

გელა ბუიღლიშვილი: „ამპარტავანნი შეიწირა რაშით ჯირითმა“...

ნოველა

მთელი დღე სიცხე აჭერდა უაზროდ. საღამო ჟამს ცოტა აგრილდა და მთელი დღის ნაწანწალები მოველ როგორც იქნა სახლში. ჩემმა პატრონმა შეაღო იმერული ხის ჭრიალა ჭიშკარი. ოჰო, ვიღაც გვესტუმრა!

„ნეტავ შენ არ დამენახეო, ჩემო პლატონო!“—დაიძახა ჩემმა პატრონმა ვითომ მხიარულად, მაგრამ რაცხა ამხიარულებდა არ ვიცი! ძლივს მოვატანეთ აქამდე მე და სოლომანმა.

ჰო, მიმაბა ეფროსინემ სახლის უკან კვინცხაზე და დამტოვა. ჩემი პატრონი, სოლომანი ეძახდა „ზაკუსკა“ გაგვიმზადეო მგონი, ასე მოვკარი ჩემი გრძელი ყური. ნეტავი თუ დათანხმდება პლატონი, ის გამაგებინა! სად შეუძლია მერე ჩემს პატრონს მისი გამასპინძლება? თვითონაც გაფშიკებული აქვს კუჭი იმ ოხერი გაძაღლებული და უსაშველო ცხოვრებით, მარა გადამთიელი ხომ არაა ის პლატონიც ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს?

ისე რა კარგია, რომ დარჩეს! პლატონის ცხენიც არ მომივიდა რაღაც თვალში. ეზოში რომ შემოვედი დაღლილი თვალი მოვატანე ბროწეულის ხესთან ება საწყალი. ისე იყო გამხდარი, დაძაბუნებული და ღონემიხდილი მხოლოდ კუდს აქნევდა.

მასაც ბევრი ექნებოდა მოსაყოლი, მისი პატრონის ხელში რა ხეირი ექნება! მარა ერთი-ორი შეპატიჟებით რავა დარჩება ის მოვალე!

გვრიტის გასაღებას ეძახის ჩემი პატრონი და მე სიქა მაქვს გაცლილი აქეთ-იქით ნარბენ-ნაწანწალები. ახლა აგერ ა, ამომხდა სული ბესარიონ საქარაძისა და ქაიხოსრო ქათამაძის სახლებს შორის სირბილით. რაცხა ეშმაკად ქაიხოსროს ვაჟს, ნიკოს, ბესარიონის ქალი ელპიტე მოსწონებია და წამეიწყო სოლომანმაც მაშვლობა. ჩემი ჯორული გონებით საიმედოს ბევრს ვერ ვხედავ, სადა აქვს ბესარიონს იმდენი შეძლება, რომ ქაიხოსროს მისცეს ორმოცი თუმანი ფული, ოცი თუმნის ვექსილი და ოცი თუმნის ბარგი! დედა, დედა, რაფრა ეხვეწა მერე ის პლატონი გაჭირვებული კაცი ვარ... შენოდენი მე აღარც სიარული შემიძლია, აღარც სხვა რამე საქმეო... შვილის სწავლის ფული ქონებია გადასახდელი, ტირის ბოვშიო, სასწავლებლიდან არ გამომაგდონ, არ ჩადგე ჩემს ცოდვაშიო...

დაპირება კაი იციენ! ჰო, ჰო რა რიხით დაპირდა შერცხვენილი ვიყვე თუ არ მოქცე შენი ვალიო! უიმე, უიმე სად მიუდის საცოდაობას რო ვერ მისცეს პლატონს ი ვალი!

სოლომანის შვილი მიწაზე ნამუშევარა, ისიც ქე გავიგე. ის რაღა იყო ვითომ, ეფროსინემ რომ მოიწონა თავი პლატონთან: „ ქე ამხელ მერე შენს სიგლახესო?“

იმე! რათია ახლა უკადრისი მუშაობა? დრომ მოიტანაო. კი მარა დრომ მათი გაპიპინებული ტყუილები აღარ მოსპო? არა, ახლა მარტო ამათ კი ვერ დააბრალებ, ე ოხერი ადამიანები სულ ქე ატყუებდნენ ერთმანეთს.

არა, რას დავაბრალო ეს მათი ტყუილები? სარგებლის მიღებას თუ აზნაურული ღირსების შენარჩუნებას? გონია ეგენი საკუთარ თავსაც ატყუებენ. რისთვინ ცხოვრობენ ნეტაი ამ ტყვილების სამყაროში? ასე რაფრა ააშენებენ ქვეყანას? მივჩერებივარ მათ ყოფას და ჩემსავით კუჭიც და იმედიც ერთნაირად გამხმარი აქვთ! ასე პატივისცემას რაფრა მეიპოვებენ? ჰმ, პატიოსან სიტყვას გაძლევო!--ჩემმა პატრონმა უთხრა პლატონს.

სადაა მერე პატიოსანი სიტყვა? პატიოსანი სიტყვა! სჯერა ახლა ვინმეს მაგისი? ცალყბად რომ ეპატიჟებოდა სახლში არ იცოდა გასამასპინძლებელი რომ არაფერი ჰქონდა? უხეირომ მომკლა ხვერწნითო—ასე უძახა რომ წევიდა პლატონი მერე ზურგსუ უკან.

დედა, რაფრა კარგათ ირგებენ ამ როლებს ან რა თამაშს თამაშობენ ესენი ხომ ვერ გევიგე! სასაცილოა ახლა მათი ყოფა? რატომ ვერ ხვდებიან ნეტა ეს გაჭირვებულები, რომ რაცხა უნდა მეიმოქმედონ, დეიძრან, პატარა შეიცვალონ, ახალ გზაზე დადგენ.

ეგება ეს მათი გაღარიბება და გაღატაკება აუცილებელიც იყო მათ გამოსაცდელად, გამოსაფხიზლებლად, ეგება მეტად გაკეთილშობილებულიყო მათი სხეული. ვინ იცის?

ხვდებიან ნეტაი ამას, რატომ ადგათ ასეთი გასაჭირი? ოჰ, ოჰ მათი მედიდური სიღატაკე!

რამდენი რამის თქმა მინდა და ვერ ვამბობ! ჰო, წვალობენ, იჭიმებიან, იწკიპებიან, მაგრამ ჭკუას მაინც ვერ სწავლობენ.

აპა, რამდი უნდა მარბენინოს ამ ხრიოკებზე მშიერი კუჭით წაღმა-უკუღმა ჩემმა პატრონმა? ხვალ ისევ ბესარიონთან უნდა წამაჩაქჩაქოს ... ეჰ, გათენდება დილა და დეიწყება ჩემი წამებაც...

ლურჯი წუთები

მე ინფანტების ნაზი კრება მაცილებს ქროლით,
ღამის ორეულს აერია მგოსნები სხვებში,
ფოთლები ხეებს ამ წელს სწყდება თითქოს დარბოლით,
ოფელიები ოქროს გვირგვინს იწნავენ თმებში.
დღეს შეიძლება ვერ ვიპოვნო ახალი რითმა,
ლურჯი წუთები მაწამებენ ვით შათირები,
ამპარტავანნი შეიწირა რაშით ჯირითმა,
დაბლები დგანან მაღალთ გვერდით ვით ვეზირები.
და მაგონდება დღეს ვერსალი ხვეული ბნელში,
დარბაზში ჟღერენ უტკბილესი სიმფონიები,
ნაზ და მას ვარდი დაეჭირა მარჯვენა ხელში,
ვერ მიველ ახლოს, რადგან მქონდა მხოლოდ იები.
გულში ამ სევდას გააქარვებს მხოლოდ ინფანტა,
მთვარიან ქუჩას მივაბიჯებ იმედიანი,
მისი ამბორი, თვალთა ცქერა მარად მიყვარდა,
სულში ფიქრები გაიფანტა შავბნედიანი.

***

ცა ცრიდა იმ ფიქრებს, იმავ დარს,
ობლად რომ დამტოვა საკანში,
ველოდი, ველოდი გამატანს
გვირილებს იმ ძვირფას საგანში.
სიჩქარით ველოდი მდუმარე პოეტი
ქარიან დღესავით იცლება ფიალა
ჩემამდე ვერ აღწევს ხალისი მოედნის
გულს ვატყობ, რომ იგი მთლად გამოიცვალა.
ცა ცრიდა მწუხარე ფერების გვირილებს
ვეტყოდი:-აქ ცივა, გამიღე კარები,
მოხეტიალე პოეტი, მიმიღე
კარები გამიღე, გემუდარები!

შოთა ჩანტლაძეს

შემოქმედება იყო შენთვის
წმინდა ტაძარი,
მე შენმა ბედმა უმწარესი
ცრემლით მატირა,
მკაცრ ეპოქაში აღარ ენთო
ლექსის ხანძარი,
მაგრამ შენ ხელში
დიდოსტატის ჩანგი გეჭირა.
ქუჩებს და ბაღებს ხშირად მზერდი
სასოწარკვეთით:
„ქართველმა თუ არ გაიღვიძა,
რად მინდა რამე?!“
ცხოვრების სიბრძნე გქონდა
ლექსში ამონაკვეთი,
სიმართლის მტრებმა საბოლოოდ
დღე დაგიღამეს.
„გულანშარო“ თუ „ზამთრის ღამე“
გიმატებს ღელვას,
წიგნს გადავშლი და თვალთ მინათებს
სტრიქონთა ელვა.
არ გიცხოვრია შენ ულექსოდ
არც ერთი წამი
ვიგონებ შენს ლექსს,
სიყვარულით, პატივით, რიდით,
თუმც ამ ცხოვრებას ვერ უპოვნე
სისწორე რამე,
შენი სიტყვაა წარსულის
და მომავლის ხიდი!

სპორტი

წარმატებით დაიწყეს და მიმდინარეობს ახალი 2023 წლის სპორტული სეზონი თერჯოლის სპორტული სკოლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სპორტსმენებმა.

ცალკეული სახეობებისა და ასპარეზობების ჩატარების ადგილების ჩვენებით გაგაცნობთ ჩვენი მოსწავლე სპორტსმენების სპორტულ შედეგებს:

ქ. ზესტაფონი. ჯონდო ჯანიაშვილის ხსოვნის რესპუბლიკური ტურნირი ძიუდოში.

საბა სულამანიძემ, ნიკოლოზ გავაშელაშვილმა და **გაბრიელ გაჩეჩილაძემ** მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს.

ქ. ზუგდიდი: საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრი ძიუდოში.

ნიკა ბრეგვაძე, გიორგი ლომიტაშვილი ასევე მესამე პრიზიორები გახდნენ.

ქ. ქუთაისი. იმერეთის ღია პირველობა სამბოში.

საბა სულამანიძე და **ზურაბ გავაშელაშვილი**—პირველი ადგილი; **ილია რობაქიძე**—მეორე ადგილი, **დიმა რობაქიძე, გიორგი ლომიტაშვილი** მესამე ადგილი.

ქ. გორი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის (ახალგაზრდებს შორის) გიორგი ხინჩიგაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში.

საბა მაჩიტიძე მესამე ადგილის მფლობელი გახდა.

ქ. ქუთაისი. ქალაქის ღია პირველობა კარატეში.

ელენე გურაბანიძე—პირველი ადგილი. **გიორგი რობაქიძე**—პირველი ადგილი. **დათო ნიკოლაძე**—მეორე ადგილი. **ანდრია ქურცაძე, ნიკო გაბრიჭიძე, ლუკა გაფრინდაშვილი**—მესამე ადგილი.

ქ. თბილისი. ღია პირველობა „უშუში“.

გიორგი აბჟანდაძე პირველი ადგილი, **ლიკა ფანჩულიძე, გრიგოლ შუღლაძე** მესამე ადგილი.

ქ. ხელვაჩაური—ღია პირველობა კარატეში.

გოჩა ქარქაშაძე, ელენე გურაბანიძე და **გიორგი რობაქიძე** პირველი ადგილი, **ნიკო გაბრიჭიძე** მეორე ადგილი, **გიორგი გურაბანიძე** მესამე ადგილი.

14-17 მარტი.

ქ. კასპი. საქართველოს პირველობა ჭიდაობა სამბოში—ახალგაზრდებსა და უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის.

ზურაბ გავაშელაშვილი მესამე ადგილი ჭაბუკებში. **ნიკა ბრეგვაძე** მესამე ადგილი უმცროსი ასაკის ჭაბუკებში.

17-19 მარტი.

ქ. თბილისი. საქართველოს „უშუს“ მე-7 თასის გათამაშება.

ლუკა ფანჩულიძე მეორე ადგილი, **გიორგი რობაქიძე** მესამე ადგილი.

1 აპრილი.

ქ. ფოთი. დასავლეთ საქართველოს პირველობა კიკ-ბოქსინგში.

ნიკა ჭანტურიძე—პირველი ადგილი. **მათე ქუთათელაძე**—პირველი ადგილი.

7-9 აპრილი.

ქ. კასპი. საქართველოს ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში.

გიორგი კუბლაშვილი მეორე ადგილი.

ელგუჯა გოგბერაშვილი,
სპორტსკოლის მთავარი
სპეციალისტი

კიდევ ერთი ჩვენებური ჩემპიონი



გასულ თვეში, ოზურგეთში, საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში. შეხვედრა სახელმწიფო ჰიმნით და ქართული ხალხური ცეკვით გაიხსნა. ჩემპიონატზე, ამ სტილით, 17 წლამდელთა შორის, 48 კგ წონით კატეგორიაში, საქართველოს ჩემპიონი გახდა ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრი, სოფელ ქვედა სიმონეთის №1 საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე **იური ჩაფიძე,** რომლის მწვრთნელია ამავე სოფლის მკვიდრი **გიგა ჩაფიძე ლევან კეზევაძესა** და **შმაგი გოქაძესთან** ერთად.

იური ჩაფიძე ქუთაისის სახელით გამოდის. იგი ამჟამად ემზადება ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც თვენახევარში ალბანეთში გაიმართება.

სამომავლოდ ახალი წარმატებები ვუსურვოთ ჩვენებურ საქართველოს ახალ ჩემპიონს და მის მწვრთნელებს.

თერჯოლელი მოსწავლე-სპორტსმენები საერთაშორისო არენაზე

ახლახანს, ბულგარეთის ქალაქ გრანევოში კარატეში, მოსწავლეთა მე-13 საერთაშორისო ჩემპიონატში, თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

კერძოდ, „შოტოკან-კარატედო“-ში (კარატეს ერთ-ერთი სახეობა) თერჯოლის №1 საჯარო სკოლის მეათეკლასელმა **ელენე გურაბანიძემ** ვიცე ჩემპიონობა იზეიმა. მეცხრე კლასელი **გიორგი რობაქიძე** და მეექვსეკლასელი **დავით ნიკოლაძე** კი მესამე პრიზიორები გახდნენ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ, ეს ახალგაზრდები თავის სამუშაო კაბინეტში მიიღო და თვალსაჩინო წარმატება მიულოცა მწვრთნელსა და მის ნიჭიერ აღსაზრდელებს. დაინტერესდა მათი სასწავლო-სამწვრთნელო საქმიანობით და მორიგ თანადგომას დაპირდა მათ.

ინფორმაციისათვის: საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის ხარჯები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ გაიღო, რისთვისაც მწვრთნელი ირაკლი ღონღაძე მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის მერს მანუჩარ რობაქიძეს და სპორტსკოლის ხელმძღვანელობას.

მიმდინარე წლის 8-9-10 სექტემბერს, უკვე უზბეკეთის დედაქალაქი, ტაშკენტი უმასპინძლებს მორიგ ასეთ ჩემპიონატს, რომლის ლიცენზია ელენემ და გიორგიმ ბულგარეთში მოიპოვეს. წარმატებები ვუსურვოთ მათ ძალთა მომავალ გამოცდაში.

ამის იმედი გვაქვს.

მწვრთნელი, **ირაკლი ღონღაძე,** ბევრი პრესტიჟული შეჯიბრების მონაწილე და გამარჯვებული გახლავთ. არის შავი ქამრის მე-4 დანის მფლობელი, ასევე მრავალი გამოჩენილი სპორტსმენის აღმზრდელ-დამრიგებელი. სწორედ მან აზიარა ამ ვაჟკაცურ სპორტს სტამბოლის ჩემპიონატისა და სხვა მრავალი პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებული ჩვენი დათო რობაქიძე.

წარმატებული მწვრთნელი, ამჟამად, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის ოცამდე ნიჭიერ ბავშვს ავარჯიშებს და იმედოვნებს, რომ ახალი წარმატებები არ დააყოვნებს.

ჩვენც ვიმედოვნებთ...

ნუგზარ გამყრელიძე

ბორის გვენეტაძე



გარდაიცვალა მაღალკვალიფიციური ვეტერინარი ბორის დავითის ძე გვენეტაძე...

ბორის გვენეტაძის—ამ ღირსეული პიროვნებისა და პროფესიონალის გარდაცვალების გამო სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს, მეუღლეს, ჩვენს კოლეგას—ქალბატონ ნელი ბაზაძეს.

ბორის გვენეტაძის სახით ოჯახმა დაკარგა ოჯახის, მეუღლის, შვილებისა და შვილიშვილების უზომოდ მოსიყვარულე ადამიანი—სოფელმა კი გულისხმიერი და პროფესიონალი ვეტექიმი, რომელიც ყოველთვის მზად იყო კვალიფიციური დახმარების გასაწევად, როგორც მშობლიურ, ისე ახლომდებარე სოფლებში.

ბატონი ბორისი დააკლდა სოფელს, მის იმიერში გადაბრძანებას ღრმა მწუხარება ახლავს. სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა.

ქვედა სიმონეთის
№1 საჯარო სკოლა

მანანა და დავით კლდიაშვილები მწუხარებაში თანაუგრძნობენ რამაზ გრძელიძეს დის

ლამზირა გრძელიძე-ფერაძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ლეილა სირაძეს მამამთილის

ანზორ ნებიერიძის

გარდაცვალების გამო.

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ხათუნა გურულს დედამთილის

ელენე რობაქიძე-ნიკოლაძის

გარდაცვალების გამო.

მანანა და დავით კლდიაშვილები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ომარ ნიშნიანიძეს ძმის

ნუგზარ ნიშნიანიძის

გარდაცვალების გამო.

ნათლობა—ახალ ადამიანად გარდაქმნა

„უკეთუ ვინმე არ იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა“—ამბობს მაცხოვარი. ახალი აღთქმის შვიდი საიდუმლოდან—ნათლობას უჭირავს პირველი ადგილი. ნათლობა ეს არის ისეთი ხილული მოქმედება, როდესაც წინაპართა მემკვიდრეობითი ცოდვებით დაბადებული ადამიანი ხელახლა იბადება, განიწმინდება ღვთიური მადლით და გარდაიქმნება ახალ ადამიანად. „ახალი გული და ახალი სული“ მიეცა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიერ საქართველოს ათეულ ათასობით მართლმადიდებელი ოჯახების მესამე და მეოთხე შვილს.

მაცხოვრის მიერ განმტკიცებულ ამ საიდუმლოს, იესო ქრისტეს მოციქულების შემდეგ, ახდენს წმიდა ეკლესია.

სულიწმინდის ნიჭი მიიღო და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მონათლულია ათეულობით თერჯოლელი.

დემეტრე და გაბრიელი—პატრიარქის ნათლულები

ღმერთო ძლიერო, ყოვლადწმინდაო სამებაო, დალოცე და ჩვენი ქვეყნის ერთგულ შვილად აღზარდე ნათლულები ჩემი დემეტრე მაკარიძე და გაბრიელ მაკარიძე—მიანიჭე მას სიყვარული შენი და მოყვასისა; მიმადლე მრავალჟამიერი სიცოცხლე და სიბრძნე, სიმრთელე სულისა და ხორცისა, გული წმინდა და სული წრფელი, განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა თვისისა; მიეც თავმდაბლობა და სიმშვიდე, შრომისმოყვარეობა და ერთგულება, მტკიცე და მრავალშვილიანი ოჯახი და პატივისცემა მშობელთა, რათა კეთილი ეყოს და დღეგრძელი იყოს იგი ქვეყანასა ზედა. უფალო და მეუფეო, დაიფარე ნათლული ესე, ჩემი საფარველისა ქვეშე ფრთათა შენისა; წარსდევნე მისგან ყოველნი მტერნი და მბრძოლნი მისნი და აცხოვნე სული მისი, ვითარცა სახიერ ხარ და კაცთმოყვარე, ამინ.

ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ნათლობის მოწმობა №20253

ღმერთმა დალოცოს და გაახაროს ჩემი ნათლული გაბრიელი და ჰყოს იგი ერთგულ და თავდადებულ შვილად ღვთისა და მამულისა—ილია მეორე—სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმინდისა სულისათა. ამინ.

მონა ღვთისა—გაბრიელ ვალერის ძე მაკარიძე.

დაბადების თარიღი—2014 წლის 28 მარტი.

დაბადების ადგილი—თერჯოლა.

ნათლობის ადგილი—სამების საკათედრო ტაძარი.

ნათლობის თარიღი—2015 წლის 19 იანვარი.

ნათლობის სახელი—გაბრიელი.

ნათლიები: ილია მეორე—სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. დეკანოზი იოანე რევიშვილი. დეკანოზი ნიკოლოზ კავაძე.

ნათლობის საიდუმლოს აღმსრულებელი მღვდელი იოანე ოჩიგავა.

ნათლობის მოწმობა №27091

ღმერთმა დალოცოს და გაახაროს ჩემი ნათლული დემეტრე და ჰყოს იგი ერთგულ და თავდადებულ შვილად ღვთისა და მამულისა—ილია მეორე—სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა. ამინ.

მონა ღვთისა—დემეტრე ვალერის ძე მაკარიძე.

დაბადების თარიღი—2015 წლის 15 დეკემბერი.

დაბადების ადგილი—ზესტაფონი.

ნათლობის ადგილი—სამების საკათედრო ტაძარი.

ნათლობის თარიღი—2016 წლის 15 ნოემბერი.

ნათლობის სახელი—დემეტრე.

ნათლიები: ილია მეორე—სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. დეკანოზი იოანე მახვილაძე. მღვდელი პეტრე არეშიძე.

ნათლობის საიდუმლოს აღმსრულებელი დეკანოზი შალვა კეკელია.



პატრიარქის ნათლულების გაბრიელისა და დემეტრეს დედა ანა გოგიაშვილი ფილოლოგია, ხელოვნების სფეროში მოღვაწეობს, მოსწავლეთა ცენტრის ქარგვის კლუბის ხელმძღვანელია და აქვს წარმატებები. მამა ვალერი მაკარიძე ინჟინერია, კერძო კომპანია „IX ჯგუფის“ წევრია. ანამ მოკლედ, მრავლისმთქმელად და ლამაზად ჩამოაყალიბა სათქმელი: მრავალი შვილით მაკურთხა ღმერთმა და ხელში მომცა ეს წმინდა ჯვარი. მივყვები ასე წუთისოფლის გზას, წინ მოგვიძღვება ნათლობისმადლი. მე შვილებს ვუმზერ, ვით ღვთის საჩუქარს, ვით მისგან მიძღვნილ უწმინდეს ნობათს, მომავლის დღეებს მზე მისინათლებს, იმედით ვუმზერ შვილების მყობადს! ისინი არის ახლა მთავარი და სანუკვარი ფიქრების წყარო. ამ წუთისოფლის მთავარი აზრი და სულიერი ცხოვრების საზრდო!

პატარები იყვნენ გაბრიელი და დემეტრე მაკარიძეები სამების საკათედრო ტაძარში ნათლობის უდიდეს საიდუმლოს რომ ეზიარნენ, ნათლობით მათ შეაღეს კარები ეკლესიაში შესასვლელად და თანდათან, ასაკის შესაბამისად, გახსნილი ექნებათ გზა ახალი აღქმის სხვა საიდუმლოთა აღსასრულებლად, მიიღებენ ღვთიურ მადლს და ნიჭს სულისა წმიდისას და სულის საზრდოს, ძალიან მალე გააცნობიერებენ თუ რა ღვთით ბოძებული ბედნიერებაა იყო პატრიარქის ნათლული, აღიზრდებიან თავდადებულ შვილებად ღვთისა და მამულისა, ბედნიერები იქნებიან საუკუნეს და მეტს აქ, ამ ცხოვრებაში. აღასრულებენ ვალს, დანიშნულებას ღვთისა და ერის წინაშე, ყოველთვის იქნება მათთან უფალი და დაეხმარებათ იყვნენ ისეთები, როგორადაც დალოცა ისინი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

ჟუჟუნა ცხადაძე

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: gazetiterjola@gmail.com

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872